პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 297 (13113) | კვირა, 20 დეკემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲑᲐᲛᲑᲐᲣᲚᲘᲡ კომბინატის პირველი საქსოვი ფაბრიკის ფართო, ნათელი საამქრო. ყურადღებას იპყრობს წარმოების მოწინავე მქსოველი ლამარა კოკიაშვილი. იგი დღიურ დავალებას 130-135 პროცენტით ასრულებს.

ლამარამ წარმატებით გაანაღდა პირადი წლიური გეგმა, რითაც თავისი წვლილი შეიტანა შშობლიური საწარმოს გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში. ᲨᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲨᲐᲢᲐᲪᲙᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲜ 1965 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘᲗ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲡᲪᲐ 400 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲮᲐᲛᲘᲜ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲘ. ახლა გორელი მქსოველები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ წლის დარჩენილ დღეებში დამატებით მოქსოვონ ნახევარი მილიონი მეტრი ქსოვილი.

1964 წლის კალენდარს რამდენიმე ფურცელი შერჩენია. ამიტომ ახლა უფრო მძლავრად ისმის: „ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!“ აი ამ დევიზით იბრძვიან საქართველოს ინდუსტრიის მშრომელები. მათი ამოცანაა განამტკიცონ ის წარმატებანი, რომლებიც მოიპოვეს წინასოციალისტმბრო შრომითი ვახტის დღეებში. მიაღწიონ კიდევ მეტს, უფრო მაღალს.

ამ დღეებში მოსკოვში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის ტრიბუნიდან საჯაროდ აუწყეს ქვეყანას, რომ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა საქართველოს მრეწველობამ 1964 წლის თერთმეტ თვეში გადაჭარბებით შესრულა. გადამეტებით სრულდება თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, მანქანათმშენებლობის პროდუქციის, ცემენტის, მარგანეცის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და სახალხო მოხმარების მთელი რიგი სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების დაკალებანი.

წარმატებას წარმატება ემატება. ყოველდღე ჩვენი რედაქციის მისამართით მოდის სასიხარულო ცნობები, რომლებიც გვატყობინებენ ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივების ახალ შრომითს გამარჯვებებს.

ჭიათურიდან მიღებულ დეპეშაში ნათქვამი იყო: „ᲛᲐᲚᲐᲠᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲗᲮᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲕᲘᲓᲔᲛᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲐᲖᲔ ᲓᲦᲔᲡ, 12 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲐ ᲡᲐᲡᲐᲥᲝᲜᲚᲝ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ 1964 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ“.

ასევე წარმატებით შრომობენ თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის, თბილისის 26 კომისრის მანქანათსამშენებლო ქარხნის, ბათუმის გემთსამშენებლო და ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ცხინვალის, ჭიათურის, ტყიბულის, ტყვარჩელის და სხვა სამრეწველო რაიონების მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების, მაღაროებისა და შახტების სახელოვანი კოლექტივები. ეს მიღწევები მუშების, ბრიგადირების, ოსტატების, სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენი ფაბრიკების, ქარხნების, ტრანსპორტისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში ყველაფერი რიგზე იყოს, ამოწურული იყოს საწარმოო რეზერვები. სამწუხაროდ, წარმატებათა გვერდით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 100-ზე მეტმა საწარმომ ვერ შეძლო დაეძლია თერთმეტი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების დავალება. ასეთ რიცხვს ეკუთვნიან რესპუბლიკის დედაქალაქის საწარმოები: „ელექტროგამშვები“, „ელექტროაპარატი“, ციროვის სახელობის ჩარხსამშენებლო და სახები ჩარხების ქარხნები, ქუთაისის ავტომობილსამშენებლო, ლენინგორის ქარხანა, სოხუმის „ელექტროხელსაწყოს“, ზუგდიდის ხისდამამუშავებელი კომბინატის, თბილისის საავეჯო გაერთიანება „განთიადის“, თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისანის“ და სხვათა კოლექტივები.

სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება წყდება სამუშაო ადგილზე. ამიტომ სამეურნეო ხელმძღვანელობის, ტექნიკური სამსახურის ვალია ყველა მწარმოებელს შეუქმნან ხელშემწყობი პირობები ნაყოფიერი მუშაობისათვის. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესაბამისმა სამმართველოებმა ყველა ზომა უნდა იხმარონ საწარმოების საჭირო ნედლეულით, მასალებითა და მანქანადანადგარებით დროულად და დამაკმაყოფილებლად მომარაგებისათვის, არ დაუშვან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადაცემის გაჭიანურება, ებრძოლონ მის სისტემატურად შეცვლას, რაც შემდგომში იწვევს წარმოებაში იერიშობანას და, თავისთავად ცხადია, პროდუქციის ხარისხის საგრძნობ დაწევას.

მეურნეობას სწორად რომ უხელმძღვანელო, ამისათვის საჭიროა სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტისას გამოდოდე პარტიის პოლიტიკიდან, ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივიდან, იხედებოდე წინ და არა უკან.

დიდებულია 1965 წელს ჩვენი ხალხის, სახელმწიფოს წინაშე დასახული ამოცანები. მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მათ შესასრულებლად საჭირო იქნება უფრო დაძაბული მუშაობა. უფრო მაღალი ორგანიზებულობა. სახელმწიფო დისციპლინის ზუსტი დაცვა, გაშლილი ბრძოლა სოციალისტური მეურნეობის უდიდესი შინაგანი რეზერვების საქმიანი გამოყენებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის ფართო დანერგვისათვის. ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურ ცხოვრებაში შეძენილი მდიდარი გამოცდილების გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე. სადაც დამტკიცებულ იქნა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, სახალხო მეურნეობის გეგმას საფუძვლად დაედო ორი ძირითადი ხაზი: საზოგადოებრივი წარმოების ტემპის ზრდა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება.

ძირითადი და მთავარი ამოცანები, რომლებიც ამ გეგმაში პირველ ადგილზეა წამოწეული, ასახავენ ცხოვრების ჭეშმარიტ მოთხოვნებს, იმ გადაუდებელ მოთხოვნილებებს, რომლებიც გამომდინარეობენ სისტემატურად განვითარებადი საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკიდან. ასეთი ამოცანების რიცხვს პირველ რიგში უნდა მივაკუთვნოთ პროდუქციის ხარისხის განუხრელი ზრდა.

დღეისათვის პროდუქციის ძირფესვიანი გაუმჯობესება სახალხო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი ამოცანაა.

საჭიროა მთელი სიმწვავით დავაყენოთ უხარისხო ნაწარმისა და საქონლის გამოშვებისათვის, საბრუნავ საშუალებათა გაყინვისათვის პასუხისმგებლობის საკითხი, დავაწესოთ იმ პირთა მატერიალური პასუხისმგებლობა, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამ საქმეში.

ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის დროს პასუხისმგებლობის გაძლიერებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების მატერიალური დაინტერესების სტიმულირებას.

იმისათვის, რომ სანიმუშოდ მოვეშზადოთ ახალი სამეურნეო წლისათვის, საჭიროა საწარმოთა კოლექტივებმა პარტიული პრინციპულობით მკაცრი კონტროლი დაუწესონ ნაკისრ ვალდებულებათა ყველა პუნქტის შესრულებისადმი, რომ წლიური ნაშრომის შეჯამებისას წმინდა სინდისით თქვან: სიტყვა არ გაგვიტეხია!

ᲐᲮᲚᲐᲮᲚᲬᲚᲝ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲞᲐᲢᲐᲙᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ თავისი რაიონული გაერთიანებებით და განყოფილებებით კომეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აწარმოებს მექანიზებულ სამუშაოებს. „საქსოფლტექნიკის“ მექანიზატორები აწარმოებენ ვენახის, ჩაის, ხეხილის და სხვა მრავალწლიანი ნარგავების პლანტაჟს, ძირეულ ჯაგნარს.

ჩვენი მექანიზატორები თავიანთ სარემონტო სახელოსნოებში უკეთებენ რემონტს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორებს, კომბაინებს, ავტომანქანებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, ტექმომსახურებას უწევენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო პარკს.

მიმდინარე წელს „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებებსა და განყოფილებებს მექანიზებული სამუშაოებ რბილ სვნაზე გადაყვანით გეგმით უნდა შეესრულებინათ 974 ათასი პირობით ჰექტარზე. ეს დავალება დიდი გადაჭარბებით არის განაღდებული. სულ მოხნულია 1.031 ათასი ჰექტარი. გეგმა შესრულებულია 105,8 პროცენტით. სარემონტო სამუშაოები, ტექმომსახურების ჩათვლით, მიმდინარე წელს „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებებს და განყოფილებებს გეგმით უნდა შეესრულებინათ 4.945 ათასი მანეთისა. გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით.

მექანიზებულ და სარემონტო სამუშაოთა გეგმების წარმატებით შესრულებაში თავი ისახელეს „აფხაზსოფლტექნიკამ“, „აჯარსოფლტექნიკამ“, გურჯაანის, ყვარლის, ბოლნისის, გორის, ხაშურის, საჩხერის, ონჩხუთის და მცხეთის „სოფლტექნიკის“ გაერთიანებებმა.

Ი. ᲮᲝᲮᲚᲝᲕᲘ,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე.

ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ᲙᲐᲡᲞᲘ საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში კარგ შრომითს გამარჯვებას მიაღწია — წლიური საწარმოო გეგმა 1 დეკემბრისათვის შეასრულა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 22 ათასი ცალი პირობითი ქილა კონსერვი.

◆

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ რესტორანებისა და კაფეების ტრესტმა (დირექტორი ი. ბოკერია) საქონელბრუნვის წლიური გეგმა 16 დეკემბრისათვის შეასრულა და ახლა იბრძვის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ᲒᲐᲜᲐᲦᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐ

ᲤᲝᲗᲝᲜᲘ. შავი და აზოვის ზღვების შებადურთა დიდ ოჯახში კარგად იცნობენ საოკეანო თევზჭერის საქართველოს სამმართველოს სენერს, რომლის კაპიტან-ბრიგადირია გივი უკლება. მას სამართლიანად შეარქვეს თევზჭერის უბადლო ოსტატი. წლევანდელი მაჩვენებლებით გ. უკლებამ და მისი ბრიგადის წევრებმა ნამდვილი რეკორდი დაამყარეს — 1 დეკემბრისათვის სახელმწიფოს ჩააბარეს 15 ათასი ცენტნერი თევზი, წლიური გეგმა კი 4.800 ცენტნერს ითვალისწინებდა. ასეთი სარეკორდო ციფრი პირველია აზოვ-შავი ზღვის თევზჭერის აუზში. «მიტომაც აუზის მთავარმა სამმართველომ და კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გივი უკლებას და მის ეკიპაჟს გარდამავალი ვიმპელი და ფულადი პრემია მიანიჭეს.

ეკიპაჟის ახალი ვალდებულებაა წლის ბოლომდე დამატებით დაიჭიროს 5 ათასი ცენტნერი თევზი.

Კ. ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ

„ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ“ — ასე უწოდებენ ტყიბულში დასავლეთის შახტის გამყვანთა იმ ბრიგადას, რომელსაც დიდი ხანია სათავეში უდგას გამოცდილი მეშახტე, ჩქაროსნული გაყვანის ოსტატი, მოლდაველი ა. პოპსუი.

ბრიგადის აქტიური წევრები ქართველი გ. სებისკვერაძე, რუსი ე. რობაჩოვი, ოსი გ. კუდუბოევი და სხვ. მეგობრულად, შეხმატკბილებულად შრომობენ. მათ წელს მიწისქვეშ ერთი კილომეტრი სიგრძის სამთო გამონამუშევარი გაიყვანეს.

Ვ. ᲯᲔᲚᲘᲫᲔ.



ᲛᲔᲢᲘ ᲙᲕᲔᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲛᲘᲕᲐᲬᲝᲓᲝᲗ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წელს მცხეთის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.

შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს მებაღეებმა: სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.356 ტონა ხილი გეგმით გათვალისწინებული 4.585 ტონის ნაცვლად. მებაღეების წარმატება მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამინდის პირობები ხელშემწყობი არ იყო.

ჩინებული მაჩვენებლებით ამთავრებენ 1964 წელს აგრეთვე მებოსტნეები, რომლებიც შეუფერხებლად ამარაგებენ თავიანთი პროდუქციით თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას — სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.709 ტონა კიტრი, კომბოსტო, ბოლოკი, ხახვი, სხვადასხვა მწვანილი. ეს მნიშვნელოვნად უფრო მეტია, ვიდრე დავალებით იყო გათვალისწინებული.

მეჯარხლეებს გეგმის შესაბამისად სახელმწიფოფისათვის უნდა მიეყიდათ 15.010 ტონა ტკბილი ჯარხალი. დავალება 101,4 პროცენტით არის შესრულებული. წარმატება ჯარხლის წარმოებაში შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ მეურნეობებმა ფართოდ დანერგეს ჯარხლის მოვლა-მოყვანის შექანიზაცია, ყველა აგროტექნიკური ღონისძიება განახორციელეს დადგენილ ვადაში და მაღალხარისხოვნად.

სოფელ სამთავისის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 800 ტონა ჯარხლის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 1.302 ტონა ჯარხალი. სოფელ ნოსტეს კოლმეურნეობამ დამამზადებელ პუნქტში გაგზავნა 1.381 ტონა ჯარხალი — 481 ტონით მეტი, ვიდრე დავალებით იყო გათვალისწინებული. ამ მეურნეობებში ჰექტარზე მიიღეს 400-520 ცენტნერი ჯარხალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 250-300 ცენტნერისა.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად განვითარდა მეცხოველეობა. ფერმებში მეტი ჰყავთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, გაიზარდა რძის, ხორცის, კვერცხის წარმოება, გადიდდა ამ პროდუქტებს მიყიდა სახელმწიფოსათვის.

მეცხოველეებმა დეკემბრის დამდეგს შეასრულეს წლიური გეგმა, სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.135 ტონა ხორცი. მატყლის დამზადების გეგმა 102,3 პროცენტით შესრულდა. კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა მიმდინარე წელს მიაღწიეს ქათმების კარგ პროდუქტიულობას: სახელმწიფოს მიჰყიდეს 676,1 ათასი ცალი კვერცხი — მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე დავალებით იყო გათვალისწინებული. რაიონში წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე რძის დამზადება.

მცხეთის საწარმოო სამმართველოს მეაბრეშუმეებმა 115,2 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა.

ახლა მიხდერებსა და პლანტაციებში მიმდინარეობს ზამთრის სამუშაოები. სოფლის მეურნეობის მშრომელებმ საუფლელს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. (საქდესი).

„ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ“

„ᲯᲔᲠ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲔᲑᲘ, ᲤᲘᲪᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲔᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲘᲥ, ᲢᲠᲔᲢᲘᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲚᲐᲠᲔᲣᲚᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲕᲐᲗᲐᲚᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ... ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲐᲧᲘ ᲜᲐᲠᲜᲝᲠᲒᲝᲕᲜᲔᲚᲘᲪᲘ ᲧᲣᲠᲐᲗ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗᲘ ᲓᲐᲡᲯᲝᲚ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲘᲝᲡᲗᲘ ᲛᲔᲠᲒᲕᲓᲚᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ-ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲑᲐ“. ᲐᲡᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲔᲚᲘ, ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲣᲠᲩᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲛ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲠᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲨᲘ „ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗᲘ ᲓᲐᲡᲯᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲣᲠᲩᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

(საქდესი).

◆

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲐᲠᲐᲒᲗᲐ ᲒᲐᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 19 დეკემბერი. (საქდესი). დღეს მოსკოვიდან ქაიროში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ნ. შელეპინი.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში საბჭოთა პარლამენტარები წავიდნენ საპასუხო ვიზიტად არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების მიწვევით.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲕᲔᲠ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ

ᲠᲝᲛᲘ, 19 დეკემბერი. (საქდესი). იტალიის პრეზიდენტის არჩევნების გამო გამართულ კენჭისყრის დღევანდელ მეექვსე ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა საჭირო 482 ხმა. ქრისტიანმა დემოკრატმა ლეონემ მიიღო 278 ხმა, კომუნისტმა ტერაჩინიმ — 249, სოციალ-დემოკრატმა სარაგატმა — 188 და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მეორე წარმომადგენელმა ფანფანიმ — 129 ხმა.

◆

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲝᲜᲒᲝᲡᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 19 დეკემბერი. (საქდესი). კონგოს აჯანყებულთა არმიის რაზმები თავს იყრიან ქალაქებთან ტუნდასთან და კიბომბოსთან, რომლებიც მდებარეობენ კინდუს სამხრეთ-დასავლეთით. ამ რაიონში აჯანყებულთა რიცხვი 9-10 ათას კაცს აღწევს.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, „კონგოელი პატრიოტები ამზადებენ შეტევას კინდუზე. ეს არის სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი ქალაქი მდინარე კონგოზე.

აჯანყებულებმა გააქტიურეს თავისი მოქმედება კონგოს განაპირა აღმოსავლეთ რაიონებში.

◆

ᲫᲛᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ, 19 დეკემბერი (საქდესი). საბჭოთა სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ალჟირში ბ. ა. ფადეევმა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში საბჭოთა სპეციალისტებმა მოახსნეს 800 კილომეტრი ნამასაფეთქებელი ღობრა ალჟირ-ტუნისისა და ალჟირ-მაროკოს საზღვრებზე, მოსპეს მილიონ-ნახევარი სხვადასხვა ნაღმი, ნაღმებისაგან გაათავისუფლეს ათას ჰექტარზე მეტი სახნავი მიწა.

საბჭოთა სამხედრო სპეციალისტებმა მომამზადეს ცვლა ალჟირელი სამხედრო მესაფეთქებლებისა, რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ განაღმვის მთელ სამუშაოებს.

◆

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲡᲘᲪᲘᲕᲔ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. უჩვეულო სიცივეს თან ახლდა ძლიერი ქარები. ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ შტატებში ცხოვრება პარალიზებულია.

ვაშინგტონის შტატში ტემპერატურა დაეცა ნულს ქვემოთ 27 გრადუსამდე ცელსიუსით. ეს ყველაზე დაბალი ტემპერატურაა, რომელიც კი ოდესმე აღნიშნულა ამ შტატში დეკემბერში. ქარის სიჩქარე დროდადრო საათში 92 მილს აღწევდა.

ჩრდილოეთ დაკოტის შტატის გუბერნატორმა განკარგულება გასცა შემოღებულ იქნას საგანგებო წესები.

ᲡᲝᲛᲔᲮ ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

სომხეთის ქიმიურმა მრეწველობამ უპატაკა სამშობლოს იმის შესახებ, რომ ვადამდე შეასრულა მთლიანი პროდუქციის წარმოებისა და მეტწილ სახეობათა უნიშვნელოვანესი ნაწარმის წარმოების წლიური გეგმა. რესპუბლიკაში მწყობრში ჩადგა ვინილაცეტატის, პოლივინილის სპირტის, გოგირდმჟავის გამოშვების ახალი სიმძლავრეები. გასულ წელთან შედარებით ექვსჯერ გაიზარდა აცეტილცელულოზის გამოშვება. გაორმაგდა მაღალეფექტიანი ჰერბიციდკრონლინის წარმოების, აგრეთვე ზემტკიცე პლასტმასების დამზადების ძირითადი პროდუქტის მელამინის წარმოება.

სომხეთის ქიმიური წარმოების ზრდის ტემპი აღემატება საკონტროლო ციფრებს. 1964 წელს მთლიანი პროდუქციის მოცულობა თითქმის 25 პროცენტით გაიზარდა. ათვისებულია 20 სახეობის ნაწარმის გამოშვება, მათ შორის ხელოვნური ბოჭკოს, კაუჩუკ „ნაირიტის“, ახალ სახეობათა პლასტმასების.

„ᲡᲐᲡᲐᲦᲘᲗᲠᲝ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲩᲐᲓᲘᲜᲘᲡ ᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ“

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, მოდა მეტად ერევიულია. ის, რაც დღეს ლამაზად გვეჩვენება, ხვალ შეიძლება სასაცილოდ გამოიყურებოდეს. რა უნდა მოუხერხდეს იმ საქონელს, რომელზეც რაღაც ერთი მოძველებული დეტალის გამო აღარ არის მოთხოვნა? აზერბაიჯანის ეკონომიკის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ბაქოში, სუმგაითსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში გაიხსნას სპეციალიზებული მაღაზიები შემცირებული მოთხოვნის საქონლის რეალიზაციისათვის.

ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, ბოლო მეტად ერევიულია. ის, რაც დღეს ლამაზად გვეჩვენება, ხვალ შეიძლება სასაცილოდ გამოიყურებოდეს. რა უნდა მოუხერხდეს იმ საქონელს, რომელზეც რაღაც ერთი მოძველებული დეტალის გამო აღარ არის მოთხოვნა? აზერბაიჯანის ეკონომიკის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ბაქოში, სუმგაითსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში გაიხსნას სპეციალიზებული მაღაზიები შემცირებული მოთხოვნის საქონლის რეალიზაციისათვის.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ხელსაწყოთსამშენებლო ქარხანა ბევრ შეკვეთას იღებს. შემკვეთთა შორის არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ინდოეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ინდონეზია, ბირმა და სხვ.

ამ ქვეყნებში საწარმომ გაგზავნა 200 სხვადასხვა საზომი და საკონტროლო ხელსაწყო.

1963 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გადიდდა 45 პროცენტით.

ქარხნის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ ვადაზე აღრე შეასრულოს შვიდწლედის მეექვსე წლის გეგმა.

◆

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲣᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ

**ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜ

დიდი გამარჯვება, ახალი ამოცანები

წლის ანგარიშში მუშაობს. აღსანიშნავია, რომ ტრესტის ყველა საწარმომ დიდი გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის დამზადების 11 თვის გეგმა.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს და დიდი წვლილი შეიტანეს საერთო წარმატებებში ლენინის, კალინინის, დიმიტროვის სახელობის და ახალი ითხვისის მაღაროთა კოლექტივებმა. მარგანეცის ტრესტმა რესპუბლიკის საწარმოებს შორის გაწილილ სოციალისტურ შეჯიბრებაში 2-ჯერ გაიმარჯვა. მესამე კვარტალში მოიპოვა პირველი ადგილი და საქართველოს პროფსაბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

დიდი ამოცანების წინაშე დგას მარგანეცის მრეწველობა 1965 წელს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მეტალურგიული ქარხნების გაზრდილი მოთხოვნილება, მარგანეცის გამოღება 1965 წელს 1964 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს რამდენიმე ათეული ათასი ტონით. გათვალისწინებულია მთელ რიგ სიახლეთა დანერგვა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია და ამის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა.

მომავალ წელს საწარმოო გამოცდა უნდა გაიაროს თელმა რიგმა ახალმა მექანიზმებმა. ასეთია ხის ჩარჩოების მექანიზებული წესით დასადგმელი და საბურღავ-დამტვირთავი მანქანა, ღუნვადი კონვეიერი, ბუნკერმატარებელი, გამყვანი კომბაინი და სხვ. დამთავრდება კალინინის სახელობის მაღაროს გამამდიდრებელი ფაბრიკის ავტომატიზაცია, მოეწყობა მაღალი სიხშირის რადიოკავშირი დიმიტროვის და კალინინის სახელობის და ახალი ითხვისის მაღაროებში, 4 საჰაერო-საბაგირო გზას გაუკეთდება ავტომატიზაცია, ყველა საენერგეტიკო კარი და სატუმბავი დანადგარი გადაყვანილი იქნება ავტომატურ მართვაზე.

მომავალ წელს მიღებული და საექსპლოატაციოდ გადაცემული იქნება ახალი კონსტრუქციის მცირეგაბარიტიანი მანქანა, რომელიც შექმნილია ჭიათურის პირობებისათვის მცირე სისქის ფენებში მაღნის მექანიზებული წესით დასაგვირთავად. დიდი ყურადღება ექცევა ჭიათურის პირობებისათვის ახალი მანქანების შექმნისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის შემდგომი სრულყოფის საქმეს. ამ საკითხზე მარგანტრესტის კოლექტივთან ერთად მუშაობს საბჭოთა კავშირის მრავალი საკვლევი ინსტიტუტი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო, რომლებიც ამუშავებენ 36 თემას. ამ თემების დამუშავებაზე გათვალისწინებულია ექიბარჯოს 471 ათასი მანეთი.

მარგანეცის ტრესტმა და მასში შემავალმა საწარმოებმა 1964 წლის მესამე კვარტალის მუშაობით რესპუბლიკის საწარმოებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებასთან დაკავშირებით ახალი გადიდებული ვალდებულებანი აიღეს. 1964 წლის ბოლომდე საამბოლოს მისცენ გეგმის ზევით რამდენიმე ათეული ათასი ტონა სასაქონლო პროდუქცია.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის შრომელთა ღირსების საქმეა ამ ვალდებულების პირნათლად შესრულება.

მ. აფაქიძე,
ჭიათურის მარგანტრესტის მთავარი ინჟინერი.

რეპუტაციის გამოცდა

ეკონომიკა, საკოლმეურნეო დემოკრატია

ჯოლმეურნეობა მაშინ ძალიან ჩამორჩენილი იყო. რაიონის ხელმძღვანელები ბევრს ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ გამოვსწორებინათ მდგომარეობა, მაგრამ ეს არცთუ ისე იოლი საქმე იყო. პირველ რიგში კოლმეურნეობას საზრიანი და საქმის მოყვარული ხელმძღვანელი სჭირდებოდა. ოდესაღაც წლის ეკონომისტი თანასოფლელთა დაყენებული მოთხოვნის შედეგ კოლმეურნეობის ხელმძღვანელი გახდა. ერთმა კვიმატმა კოლმეურნემ კი ასე თქვა: ეგა, ჩემმ ძმაო, ქორრის ვარცხნას მოუნდება დიდღლობით და რაში გამოგადგებაო. მაგრამ უმრავლესობას სწამდა ახალგაზრდისა.

ახლა, როცა იმ პირველ დღეებს იგონებს, შოთას უხარია, რომ თანასოფლელთა იმედი გაამართლა.

ოცდასამი წლისა იყო, როცა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თავმჯდომარედ აირჩიეს.

— რამდენი წელია კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ხართ? — ვეკითხებით,

— რვა... აი ეს ალვისხვების ხეივანი იმ წელს გავაშენეთ. ახლა კი ხედავთ, როგორ მცველებივით დასდგომიან ჩვენს მინდვრებს, ბაღ-ვენახებს.

სოფლის, კოლმეურნეობის ავ-კარგიანობის საზომი ეკონომიკაა. და როცა ფლავის კოლმეურნეობის ეკონომიკას ვეცნობოდით, უნებურად თვალწინ დაგვიდგა ის გზა, რომელიც კოლმეურნეობამ გაიარა ჩამორჩენილობიდან მოწინავეობისაკენ, რენტაბელობისაკენ. შოთა რომ აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ამ წელს საერთო შემოსავალმა 70 ათასი მანეთი შეადგინა. შემდეგ წელს შემოსავალი გაორკეცდა, მესამე წელს ოთხჯერ გაიზარდა, წელს კი 450 ათას მანეთს გადაჭარბა. მაშინ შრომადღეზე 12 კაპიკი ფული და 1,5 კილოგრამი მარცვალი განაწილდა, ერთი წლის შემდეგ კი — 1 მანეთი ფული და 4 კილოგრამი მარცვალი. ეს ციფრები ახლა უფრო გადიდდა.

იშვიათად როდი შეხვდებით ისეთ კაცს, რომელიც ყოველივე კარგს თვითონ მიიწერს. შოთა მათს რიცხვს არ ეკუთვნის.

— ძველებს უთქვამთ — მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, — ამბობს იგი, — საერთო საქმე მაშინ წავა წინ, როცა ყველა თავის უბაში, რომ იტყვიან, ბატონ-პატრონია, რაცა ყველა თავის საქმეს აკეთებს. ჩვენ კი ისეთი მუშაკები გვყავს, რომ მათ რაც უფრო ენდობი და მეტ დამოუკიდებლობას მიანიჭებ, მით უფრო მეტ პასუხისმგებლობას ჯრნობენ და კარგადაც მუშაობენ. ამით მე, როგორც თავმჯდომარეს, ტვირთი მისუბუქდება და მეტი დრო მეძლევა ვიფიქრო საერთო საქმის წინსვლაზე. ბრიგადირები ვახტანგ გოგშელიძე, ოთარ თენაძე, ვიქტორ ფინდიშვილი, ფერმის გამგე შოთა ტატუაშვილი ისეთი ადამიანები არიან, რომ მათს საქმეში ვინმეს ჩარევა შეიძლება საზიანოც კი იყოს, მათ ხელი არ უნდა შეუშალო.

— რატომ უნდა იყოს საზიანო?

— აი რატომ: ფერმის გამგე, ბრიგადირი თავისი საქმის კურსშია ყოველთვის. მათ უნარს, ნიჭს ფართო გასაქანი უნდა მისცე. ეს ისე კი არ უნდა გაიგოს ვინმემ, რომ ბრიგადა ან ფერმა სრულიად დამოუკიდებელი ერთეული იყოს კოლმეურნეობაში, მაგრამ არც ისე უნდა მოსდეს, რომ თავმჯდომარე აკეთებდეს მათს საქმეს.

თავმჯდომარეს ბევრი საქმე აქვს გადასაწყვეტი. ფლავეელთა თავმჯდომარე კოლმეურნეობის მრავალდარგოვანი მეურნეობის რენტაბელობაზე ფიქრობს, შიდასამეურნეო სპეციალიზაციით არის გატაცებული. ერთი სიტყვით, კომერციაზე ფიქრობს შოთა. ეს სიტყვა მას როდი აშინებს. რომელმე დარგი მოგებას თუ არ აძლევს კოლმეურნეობას, უკუაგდებს. ამას აკეთებს არტელის გამგეობასთან, საერთო კრებასთან შეთანხმებით.

კოლმეურნეობაში წამყვანია მეხილეობა, მემინდვრეობა და მეცხოველეობა. თავმჯდომარის მთელი ფიქრები იქითკენ არის მიმართული, რომ ეს დარგები ყოველწლიურად უფრო მეტ შემოსავალს იძლეოდეს, პროდუქციის თვითღირებულება მცირდებოდეს.

—42 ჰექტარი მსხმოიარე ხეხილის ბაღი გვაქვს. ხილი კი მეტად მომგებიანია. წელს 250 ტონა ხილი შიგაყიდეთ სახელმწიფოს. თვითეულმა ჰექტარზე 3.000 მანეთი შემოსავალი მოგვეკა. ჰექტარზე დაიხარჯა 600 მანეთი. ყოველი ჰექტარი ბაღი 2.400 მანეთს წმინდა მოგებას გვაძლევს. გასაგებია, რატომ გავადიდეთ უკანასკნელ წლებში ბაღების ფართობი 340 ჰექტარამდე. რა თქმა უნდა, როცა ბაღების ფართობს ვადიდებთ, მემინდვრეობაში ზოგიერთი კულტურის ნათესი ფართობი მცირდება. ჩვენ ეს არ გვაშინებს. მხოლოდ მომგებიანი დარგის განვითარება — აი ჩვენი მიზანი, — ამბობს თავმჯდომარე, და გრძნობ, რომ მას კარგი ეკონომისტის აღღო და გრძნობა აქვს.

ახლა ავიღოთ მემინდვრეობა. ფლავეელებს მემინდვრეობიდან მხოლოდ სიმინდი, ჭარხალი და ლობიო მოსწონთ. რატომ? აი რატომ:

სიმინდი წელს 160 ჰექტარზე ეთესათ. ჰექტარზე 58 ცენტნერი მარცვალი მიიღეს, ხოლო მწვანე მასა — 200 ცენტნერზე მეტი. ცენტნერი სიმინდის წარმოება 38 კაპიკი დაუჯდათ. სახელმწიფომ კი 55 კაპიკი მისცათ. ყველაფერი ცხადია. მესიმინდეობა მომგებიანია, და თუ ასეა, მაშინ მეცხოველეობაც რენტაბელური უნდა იყოს. დიახ, ასეა. საკვების წარმოება იაფი უჯდებათ და მეცხოველეობაც რენტაბელურია. აქ ყოველწლიურად სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. ამიტომაც წელს მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა 150 სულით გაიზარდა. წელს 400 ტონა მარტო ნედლი ტარო დააკონსერვეს პირუტყვისათვის, იყენებენ ჭარხლის ფოჩისა და ჩალის შერეულ სილოსს. საკვების თვითღირებულება მცირეა და მეცხოველეობის პროდუქტებიც იაფდება.

უფრო მომგებიანი კი მეჭარხლეობაა. წელს კოლმეურნეობაში ჰექტარზე 870 ცენტნერი შაქრის ჭარხალი აწარმოეს. ცენტნერი ჭარხლის წარმოებაზე ერთი მანეთი და 10 კაპიკი დაიხარჯა. სახელმწიფო კი 27 მანეთს აძლევთ. სახელმწიფოს 3.000 ტონა შაქრის ჭარხალი მიაყიდეს. ყოველ ჰექტარზე წმინდა მოგება 25 მანეთსა და 90 კაპიკს უდრის. ფლავეელებს ესეც არ აკმაყოფილებთ. მომავალ წელს ცენტნერი ჭარხლის წარმოებაზე 80 კაპიკს დახარჯავენ.

— ეკონომიური გაანგარიშება კარგია, მაგრამ საინტერესოა, როგორ აღწევთ ამას? — ვეკითხებით შოთას.

— როგორც ვთქვით, ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ შიდასამეურნეო სპეციალიზაციას. ვფიქრობ ამაზე ლაპარაკი აღარ დაგვჭირდება. გარდა ამისა, ტექნიკას მაღალნაყოფიერად ვიყენებთ. ირიგაცია, ქიმია ჩვენი ოქროს ფონდია. ამაზე არ შეგეჩერდებით, ეს საქმე კარგად იცის ყველა სპეციალისტმა და კოლმეურნემ. ჩვენი წარმატების თავწყარო მატერიალური დაინტერესების პრინციპი და საკოლმეურნეო დემოკრატიის განვითარებაა, — ამბობს შოთა და მოჰყავს ფაქტები.

ყველა კოლმეურნეს აქვს მიჩენილი ნაკვეთი და სამუშაოზე დაბასება არ სჭირდება. ყველა მთავანმა ისიც კარგად იცის, რომ მოსავლიანობის გადიდებისათვის სათანადო ანაზღაურებას მიიღებს.

მაგალითისათვის ავიღოთ კოლმეურნე შალვა კაპანაძის საქმიანობა. იგი წელს უვლიდა სიმინდის ნათესს, სადაც შეთესილი ჰქონდა ლობიოც. მაგრამ მთელ წელიწადს სიმინდისა და ლობიოს ნათესებს ხომ არ მოუნდებოდა. დრო საკმაოდ რჩებოდა, ამიტომ აგრეთვე ხეხილის ბაღსაც უვლიდა და ჭარხლის ნათესიც მიიზომა.

შალვა კაპანაძემ ნაშრომით გაიხარა. ერთი ჰექტარი სიმინდის ნათესიდან 100 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. მარტო შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით 30 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ამავე ფართობზე მოიყვანა 10 ცენტნერი ლობიო, თავის წილად სამი ცენტნერი შეხვდა. ხეხილის ბაღიდან 160 მანეთი ეერგო. შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით მიიღო 180 მანეთი ფული და 160 კილოგრამი შაქარი. ეს ერთი მაგალითი მოვიყვანეთ, მაგრამ ფლავეში ასეთი და უკეთესი მაგალითის მოყვანა ასობით შეიძლება.

ფლავეის კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარე შოთა ეცადაშვილი კოლმეურნეთა კარგი წინამძღოლი, მასწავლებელი და დამრიგებელია. შოთა ყველასათვის მაგალითის მაჩვენებელია. მისი ყოველდღიური საქმიანობის დევიზია: თვით შენი საქმიანობით უნდა იყო კეთილი, გახსოვდეს, რომ ყველა კოლმეურნე შენი ძმა და ამხანაგი, მეგობარია, საერთო საქმისათვის მებრძოლია. და თუ ეს ასეა, მას პატივისცემით უნდა მოვეკიდო. ეს კარგად იცის შოთამ და არა მარტო იცის, არამედ საქმით აკეთებს ამას. მშრომელებთან სიახლოვე, მათი აზრის გულდასმით მოსმენა, აწონ-დაწონა და ისე გადაჭრა წარმატების საწინდარია. საკოლმეურნეო დემოკრატია გამარჯვების ქვაკუთხედია.

— კოლმეურნეობაში თუ ყველა დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს, თუ ხელმძღვანელმა კარგად იცის, რასაც აკეთებს, მაშინ ოპერატიული საკითხის გადაწყვეტა არ გაუჭირდება. ამ შემთხვევაში რას აკეთებს ბრიგადირი? მან ხომ პირველმა უნდა იცოდეს კოლმეურნის ავ-კარგი? თუ ის ეძახის სამუშაოზე, რატომ არ უნდა იცოდეს კოლმეურნის ოჯახური მდგომარეობა? და თუ იცის, მას უფლებაც უნდა ჰქონდეს ოპერატიული, გადაუდებელი საკითხი გადაწყვიტოს ჩემს გარეშე — ამბობს თავმჯდომარე.

ამ რამდენიმე წლის წინათ, ზაფხულში, საწყობი, რომელსაც კოლმეურნე ივანე გიუნაშვილი სდარაჯობდა, დაცარიელდა და, ცხადია, სადარაჯოც არაფერი იყო. იგი ფიზიკურად მუშაობდა ორ თვეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ეცადაშვილი გამგეობის სხდომაზე იმის წინააღმდეგი წავიდა, რომ ივანესათვის იმ ორი თვისაც ჩეკულებრივ დაეწერათ შრომადღეები. ცხადია, არც დაურიცხეს, ვინაიდან ცარიელა საწყობს დარაჯობა არ სჭირდებოდა. ივანემ ამისათვის თავმჯდომარე საერთო კრებაზე გააკრიტიკა. ზოვიერთი მოელოდა, რომ თავმჯდომარე მას, ასე ვთქვათ, გადაუხდიდა, შემდეგ გაუსწორდებოდა, მაგრამ პირიქით—ივანე თავმჯდომარის წინადადებით, როგორც ენერგიული კოლმეურნე, გამგეობის წევრად აირჩიეს. და იგი დღემდე გამგეობის უცვლელი წევრია. ახლა ამ ამბავს რომ იგონებს, ივანეს თვითონაც უკვირს, როგორ დამმართა ეს, თავმჯდომარე მარტო ხელმძღვანელი ხომ არ არის, იგი პირველ რიგში ჩვენი მეგობარია. მაშ რატომ ვერ მივხვდი, რომ ის ჩემთვის ცუდს არაფერს მოიმოქმედებდაო.

— მაშ ნდობაა მთავარი?

— აუცილებლად! — თქვა შოთამ. კოლმეურნეთა სიყვარული და ნდობა რომ დაიმსახურო ამისათვის მარტო გეგმების შესრულება არ კმარა. პირველ რიგში კარგი მოქალაქე უნდა იყოს კაცი. ფლავეელთა თავმჯდომარის რეპუტაციისა და მოქალაქეობის გამოცდისათვის რვა წელიწადი საკმაო დრო არის. პირველ რიგში იგი თანასოფლელებმა კაიკაცობისა და გულისხმიერებისათვის შეიყვარეს. სიყვარული და ნდობა კი ყოველგვარი სიკეთის თავწყაროა. სიკეთე კი ფლავეელებს არ აკლიათ.

ვ. გოზალიშვილი.

ს. ფლავი, გორის რაიონი.

• • •

სურათზე: შ. ეცადაშვილი.

თვალს ახარებს ქობულეთის რაიონის სოფელ გვარას კოლმეურნეობის ციტრუსოვანთა ბაღები. გაჩაღებულია ნარინჯოვანთა მოსავლის აღება. მიმდინარე წელს არტელის მეციტრუსეებმა სამშობლოს მისცეს 200 ტონა მანდარინი. ეს ბევრად აღემატება გეგმიურს. მოწეულია აგრეთვე ლიმონისა და ფორთოხლის კარგი მოსავალი. მარტო ამ დარგიდან შემოსავალი 100 ათას მანეთზე მეტს შემატებს კოლმეურნეობის ბიუჯეტს.

ციტრუსების კრეფაზე ბევრმა გამოიჩინა თავი. მათ შორისაა კომკავშირელი ნანული გოგმაჩაძე. ამ შრომისმოყვარე გოგონამ ჯერ კიდევ ჩაის ფოთლის კრეფაზე ისახელა თავი, სახელმწიფოს ჩაბარა 5 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო". ტოლი არა ჰყავს მას არც ციტრუსოვანთა კრეფაში. ყოველდღიურად იგი კრეფის 2-3 ნორმას ასრულებს.

• • •

სურათზე: ქობულეთის რაიონის სოფელ გვარას ახალგაზრდა მეციტრუსე, კომკავშირელი **ნანული გოგმაჩაძე.**

ფოტო ი. **ნანიკაშვილისა.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

მევენახეთა გარჯა

საჩხერე. (საკ. კორ.). მომავალი წლის ყურძნის უხვ მოსავალს ამთავითვე უყრის საფუძველს საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. აქ წარმატებით მიმდინარეობს ვენახების საზამთრო სამუშაობი. რიგთა შორის ნიადაგის ღრმად დამუშავება ჩატარდა 430 ჰექტარზე, ხოლო ძირების შემობარვა — 100 ჰექტარზე. ზურგებში შეიტანეს 400 ტონა მინერალური სასუქი.

საზამთრო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს იმ აგროუბნებში, რომლებსაც ახალგაზრდა სპეციალისტები ლილი და შოთა ჭილაძეები ხელმძღვანეულობენ. სანიმუშოდ არის დამუშავებული ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატების ვ. ფალავანდიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ი. ენუქიძის ნაკვეთები.

საჩხერის რაიონის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს მრავალწლიანი ნარგავების გაშენების წლიური გეგმა.

კოლმეურნეობებში გააშენეს 60 ჰექტარი ვენახი, 65 ჰექტარი ხეხილის ბაღი. გეგმით გათვალისწინებული 20 ჰექტარის ნაცვლად გაშენებულია 35 ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

„ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა გამსჭვალულია საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის, მათი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სულიერი ცხოვრების გამდიდრებისათვის ზრუნვით.

ჩვენი წყობილების ადამიანურობა სწორედ იმით გამოიხატება, რომ ადამიანებისადმი გულისხმიერი და მზრუნველი დამოკიდებულება განუხრელად არის დაკავშირებული ყოველდღიურ მუშაობასთან, მშრომელთათვის ყველაზე ხელსაყრელი მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასთან.

პარტია მოითხოვს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებისაგან, რომ სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის დროს არ იეიწყებდნენ მთავარს — ადამიანს, რომელთა ძალღონეთ და შრომით ხორცელდება ეს გეგმები. ლაპარაკია უწინარეს ყოვლისა იმაზე, რომ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია, ჩვენი ადამიანების მატერიალური და საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, იქნება ეს საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესება, პროდუქციის გამოშვების გადიდება და ხარისხის ამაღლება თუ სასადილოებისა და მაღაზიების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა. უნდა ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ გვქონდეს მეტი საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები და ბაგები, რომ კარგად მუშაობდეს ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საყოფაცხოვრებო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სისტემატიურად იღებენ შრომელთა წერილებს, რომლებშიც გამოხატულია კმაყოფილება გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის, გამოთქმულია გულწრფელი, მხურვალე მადლობა აღმოჩენილი დახმარებისათვის.

ჩვენი ადამიანები ღირსნი არიან, რომ მათ პატივს სცემდნენ, რომ მათს საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს ეკიდებოდნენ გულისხმიერებით, ყურადღებით. ეს არის თვითეული საბჭოთა ადამიანის უფლებაც და მოვალეობაც, ვინაიდან ჩვენს ცხოვრებას საფუძვლად უდევს კომუნიზმის დიადი პრინციპი **„ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა".**

მაგრამ ყველაფერი რიგზე გვაქვს თუ არა ამ მხრივ?

სამწუხაროდ, არა. ჩვენს ცხოვრებაში კიდევ შეხვდებით ადამიანისადმი უყურადღებო და ზოგჯერ კი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს.

ადამიანისათვის ზრუნვა სავალდებულოა თვითეული მუშაკისათვის. რიგითი ადამიანისათვის, მშრომელისათვის ჩვენი სოციალისტური საზოგადოება არის ანა განყენებული ცნება, არამედ კონკრეტული ღონისძიებანი, კონკრეტული ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებთანაც მას საქმე აკავშირებს. არა მოწოდებებისა და განცხადებების, არამედ პრაქტიკული საქმიანობის მიხედვით მსჯელობს ხალხი საბჭოთა დაწესებულებების მუშაობაზე.

თავისი არსებობის პერიოდში საბჭოთა სახელმწიფო აპარატმა დაამტკიცა, რომ იგი არის ნამდვილად სახალხო აპარატი, რომლის ძირითადი ამოცანაა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება, ეკონომიკის, ყოფაცხოვრებისა და კულტურის გარდაქმნა სოციალიზმის, კომუნიზმის საწყისებზე, მუშაობა შრომელთა საკეთილდღეოდ. ჩვენი მუშაკების დიდ უმრავლესობას შეადგენენ პატიოსანი, ენერგიული, კომუნისტის საქმისადმი ერთგული ადამიანები. მაგრამ არ უნდა დავშალოთ ისიც, რომ დღემდე ბევრია უხეშობის, მოქალაქეებისადმი უყურადღებობის, მათი საჭიროების უგულებელყოფის შემთხვევებიც.

ზოგჯერ ჩვენი პრესის კრიტიკული გამოსვლაც კი ვერ ახდენს გავლენას ასეთ მუშაკებზე.

ვინ მოსთვლის მიმდინარე წელს რესპუბლიკურმა გაზეთებმა რამდენი კრიტიკული მასალა გამოაქვეყნეს, რომლებშიც მხილებული იყო ცალკეული საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების უხეირო მუშაობა, მაგრამ განა ყველა ამ კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხია მიღებული, განა გვახსოვდეს, რომ ეს მოთხოვნა ორჯერ უფრო მეტად შეეხება ხელმძღვანელებს. ისინი მოწოდებული არიან თავიანთი მოქმედებით დაეხმარონ ჩვენს მოქალაქეებს კომუნისტური ჩვევების გამომუშავებაში.

ჩვენი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე უნდა ვნერგავდეთ პარტიულ, ლენინურ დამოკიდებულებას ადამიანებისადმი. ვ. ი. ლენინის თანამებრძოლთა და თანამედროვეთა დოკუმენტები და მოგონებები მოწმობენ, თუ რა უყურადღებით ადევნებდა თვალს ვ. ი. ლენინი ადამიანთა შემოქმედებითს ზრდას, უსწორებდა, როცა ისინი ცდებოდნენ, ეხმარებოდა, როცა დახმარება ესაჭიროებოდათ.

აი მრავალთაგან ერთ-ერთი დამახასიათებელი მაგალითი.

ცნობილ საბჭოთა მწერალს ა. ს. სერაფიმოვიჩს სამოქალაქო ომის პერიოდში, 1920 წელს, შეელი დაეღუპა. **ვ. ი. ლენინმა** შემდეგი წერილით მიმართა **ა. ს. სერაფიმოვიჩს:**

„ძვირფასო ამხანაგო!

ჩემმა დამ ეს არის გადმომცა, თუ რა საშინელი უბედურება დაგატყდათ თავს. ნება მიბოძეთ მაგრად, მაგრად ჩამოგართვათ ხელი და გისურვოთ სიმხნევე და სულიერი სიმტკიცე. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე გაგზეხორციელებინა ჩემი სურვილი — უფრო ხშირად შეგხვდეთ და უფრო ახლოს გაგეცნოთ. მაგრამ თქვენმა ნაწარმოებებმა და ჩემი დის ნაამბობმა ჩამინერგა ღრმა სიმპათია თქვენდამი და ძალიან მინდა გითხრათ, თუ რაოდენ საპირო მუშებისა და ყველა ჩვენგანისათვის თქვენი მუშაობა და რაოდენ აუცილებელია ახლა თქვენთვის სიმტკიცე, რათა დაძლიოთ ძმის განწყობილება და აიძულოთ თავი დაუბრუნდეთ მუშაობას. მაპატიეთ, ნაჩქარევად რომ გწერთ. კიდევ ერთხელ მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი".

ჩვენს საზოგადოებაში მიღებულია ერთმანეთს მიმართონ სიტყვით „ამხანაგო". ამას მივეჩვიეთ და ბუნებრივად გვეჩვენება. მაგრამ როდესაც წარმოვიდგენთ ამ ყოველდღიურ მიმართვის შესანიშნავ სიტყვას, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის ღრმა აზრი, რომელიც მასში ჩაქსოვილი. მიმართვა „ამხანაგო" გამოხატავს აზრის თანხმობასაც, თანასწორობასაც და ერთმანეთის პატივისცემასაც იმ ადამიანთა ურთიერთობაში, რომლებსაც კომუნისტური საზოგადოების აშენების საერთო საქმე აკავშირებს.

ერთმანეთის პატივისცემა, გულწრფელობა, ჭეშმარიტი ადამიანურობა, გულისხმიერება, თავმდაბლობა და მასთან ერთად მტკიცე პრინციპულობა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, ზრუნვა საზოგადოების ინტერესებისათვის, — აი რას გვაძლევს სიტყვა „ამხანაგო".

ადამიანებისათვის ზრუნვა დაკავშირებულია მათდამი შემთხოვნელობის ამაღლებასთან, რასაც გვასწავლის პარტია. ამ პარტიულ ტრადიციაზე დაყრდნობით ცნობილმა საბჭოთა პედაგოგმა ა. ს. მაკარენკომ ასე ჩამოაყალიბა ადამიანის აღზრდის უმნიშვნელოვანესი პრინციპი: **რაც შეიძლება მეტი პატივისცემა ადამიანს.**

ეს პატივისცემა და მაღალი მომთხოვნელობა დამყარებულია ადამიანის ძალისა და უნარის აღიარებაზე. ადამიანის შემოქმედებითი ძალის ღრმა რწმენით არის გამსჭვალული საბჭოთა ხალხის ჰუმანიზმი, სოციალისტური ჰუმანიზმი. მასში გამოხატულია სიყვარული ადამიანისადმი. მისი პატივისცემა და იმის რწმენა, რომ მას უნარი შესწევს უკეთესი გახადოს სამყარო და საკუთარი თავი. ადამიანს უნდა უყვარდეს ადამიანები, — ამბობდა მ. ი. კალინინი. — თუ მას ადამიანები ეყვარება, იგი უკეთესად იცხოვრებს, უფრო საამური იქნება სიცოცხლე, ვინაიდან არავინ არ ცხოვრობს ქვეყნად ისე ცუდად, როგორც მიზანთროპი — ადამიანის მოძულე.

ადამიანისათვის ზრუნვასთან ერთად არ უნდა შევეწუნაროთ მისი სისუსტე და ნაკლოვანებანი, არამედ უნდა ვაკრიტიკებდეთ და ვებრძოდეთ მათ, ვიჩენდეთ მაღალ მომთხოვნელობას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს იდეური, დისციპლინიანი და გულადი მუშაკების აღზრდას, რომლებიც მზად იქნებიან მთელი თავიანთი ძალა და უნარი მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის დებულება—„ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის" — მთელი ჩვენი მუშაობის დევიზი უნდა გახდეს.

ალ. მანელაშვილი.

საინტერესო შეხვედრა

ოჩამჩირის რაიონის შორეულ სოფელ ღვადში უჩვეულო ფუსფუსი იყო. ელოდნენ საყვარელ სტუმრებს მეზობელ სოფელ ოხურეიდან. აქ მოეწყო ორი სოფლის მშრომელთა მეგობრული შეხვედრა.

შეხვედრა გახსნა სოფელ ღვადის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ქეცბამ. სიტყვით გამოვიდა ოჩამჩირის რაიონის პარტიული კომიტეტის მდივანი ი. ამიჩბა.

— მაღალი შრომითი მაჩვენებლები მოვიპოვეთ, — თქვა ი. ამიჩბამ, — კვლავაც შევინარჩუნეთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. რომელიც ჩაის მოსავლიანობაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის მიიღო რაიონმა.

შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს სოფელ ღვადის სუვოროვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირებმა **ოთა და ნური მოუებმა,** სოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ა. მონიამ,** აგრონომებმა **დ. გოგიამ, შ. ამიჩბამ,** მოწინავე მეჩაიეებმა **ეკატერინა ალიევამ** და **თამარ აფრასიძემ.** გამოსულმა ამხანაგებმა დამსწრე საზოგადოებას პირობა მისცეს, რომ მომავალ წელს უკეთესად იმუშავებენ და სამშობლოს მისცემენ სოფლის მეურნეობის რაც შეიძლება მეტ პროდუქტებს.

ე. მერაბიშვილი.

„ქვათა ღაღადი"

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში მხილებული იყო მესხეთ-ჯავახეთის კულტურის ძეგლების დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ს. გუსაჩიძე** გვაცნობებს, რომ „კომუნისტში" გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი **სინამდვილეს შეესაბამება.**

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ ახალქალაქის რაიონში გამართა გამსვლელი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კუმურდოს ძეგლის ათასი წლისთავისადმი, ხოლო ძეგლთან სოფელ კუმურდოში, მოეწყო მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი. საზოგადოების პრეზიდიუმი კვალიფიციური ლექტორების მეშვეობით აწყობს ლექციებს, მოსხენებებს როგორც კუმურდოს, ისე მესხეთის სხვა ძეგლების შესახებ, რაც შეეხება მესხეთის გამოქვაბული ძეგლების გამაგრების სამუშაოებს, საამისოდ მოწოდებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო, რომელიც გეგმის მიხედვით აწარმოებს ვარძიისა და სხვა ძეგლების გამაგრებითს საკონსერვაციო სამუშაოებს.

ამავე წერილთან დაკავშირებით ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. ისაკაძე** გვატყობინებს: რაისაბჭოს აღმასკომმა დასახა ღონისძიებანი კულტურის ძეგლების უკეთ დაცვისათვის. მომდინარეობს ვარძიის ძეგლ-ნაკრძალის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები. გაიწმინდა ძეგლის მიდამოები, გასასვლელი და მისასვლელი გზები. დამტკიცებულია ძეგლის ტერიტორიის გამოქვაბულთა ელექტროგანათების ხარჯთაღრიცხვა. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა

მსოფლიო ამ დღეებში

საერთაშორისო დეკემბერი ცნობიერი ვიეტნამელი ცხოვრება

ძმური სოლიდარობა

საზღვარგარეთის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს სამხრეთ-ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის საერთაშორისო დღეს და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის მე-4 წლისთავს. ამ თარიღებს ეძღვნება მასობრივი მიტინგები, საღამოები, საუბრები.

მტკიცე პროტესტი განაცხადეს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ ლაიფციგში გამართული მიტინგის მონაწილეებმა.

სამხრეთვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის დღეს მიეძღვნა აგრეთვე საღამო, რომელიც სოფიაში გაიმართა. (საკდესი).

პლანეჯა—უაჯომოდ!

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი **გ. ვასილიევი** იუწყება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა განაგრძობს საერთო დისკუსიას. გუშინ დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა კონგოს (ბრაზავილი) საგარეო საქმეთა მინისტრი შარლ განაო, რომელმაც გადაჭრით დაგმო ამერიკა-ბელგიის ინტერვენცია სტენლივილში და მკაცრად გააკრიტიკა ის დელეგატები, რომლებიც ცდილობდნენ ასამბლეის ტრიბუნიდან დაეცვათ იმპერიალისტური აგრესია.

ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანე ბაშევმა განაცხადა, რომ მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერამ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ გამოიწვია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. მან მტკიცედ დაუჭირა მხარი საბჭოთა მთავრობის მიერ შემოტანილ მემორანდუმს, რომელშიც დასახულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, გამლებული შეიარაღების შეწყვეტის მთელი რიგი ღონისძიებანი.

ბულგარეთის წარმომადგენელმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიიღოს წინადადება უატომო ზონების შესახებ და მხარი დაუჭირა ნეიტრალური ქვეყნების მეორე კონფერენციის რეკომენდაციებს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ივანე ბაშევმა მიუძღვნა ბულგარეთის მთავრობის მეცადინეობას, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ გაუმჯობესოს ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, რომ ბალკანეთი გადაიქცეს მშვიდობის რაიონად.

ბოლივიის წარმომადგენელმა ილაპარაკა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ.

ასამბლეის პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ინდონეზიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პალარმა.

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭომ დაიწყო განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანის მოხსენებისა კვიპროსის საკითხზე. უ ტანი ურჩევს საბჭოს კიდევ სამი თვით — 1965 წლის 26 მარტამდე განაგრძოს

გენერალური ასამბლეის სესიაზე

რასისტთა მსხვერპლი

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ლ. შოკინი იუწყება: ქალაქ ფეირდეის (ლუიზიანის ძტატი) საავადმყოფოში ძლიერი ნამწვრობისაგან გარდაცვალა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზანგთა ბრძოლის მოხაწილე, ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის აქტიური წევრი ფრანკ მორისი.

ვითარება, რომლის შედეგად დაიღუპა მორისი, მოწმობს, რომ იგი რასისტთა თავგასულობის მსხვერპლი გახდა. ამ დღეებში მორისის პატარა ფეხსაცმლის სახელოსნოში შეიჭრა ორი თეთრკანიანი მამაკაცი ბიდონით ხელში. ამ დროს მორისი სახელოსნოზე მიშენებულ ოთახში იყო. როცა ხმაური გაიგონა სახელოსნოში, შევიდა იქ და ნახა, რომ თეთრკანიანები ბენზინს ასხამდნენ შენობაში.

მალე მთელ ხის შენობას ცეცხლი მოედო, ხოლო შემდეგ გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა. ცეცხლმოდებული მორისი ოთახიდან გამოვარდა. გარშემო არავინ იყო. იგი გაიქცა უახლოეს ავტოსარემონტო სადგურისაკენ. იქ, ბოლოს და ბოლოს, ჩაკრეს ცეცხლი ტანსაცმელზე. საავადმყოფოში მიყვანილ მორისს დიდხანს აღარ უცოცხლია.

ლ. ჯონსონის განცხადება

ვაშინგტონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ გამოაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ პანამასთან და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად შეუდგნენ ახალი არხის გეგმების შემუშავებას და მშენებლობისათვის მზადებას. ეს არხი იქნება ცენტრალური ამერიკის ზღვის დონეზე.

პრეზიდენტმა აგრეთვე გამოაცხადა, ამერიკის მთავრობამ აცნობა პანამის მთავრობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება პანამის ახლანდელი არხის ექსპლოატაციის შესახებ ახალი ხელშეკრულების დადების თაობაზე.

ახლანდელი პანამის არხი, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, მოძველდა და მალე კედარ დააკმაყოფილებს მსოფლიო ვაჭრობის მოთხოვნილებებს. არხთან ერთად, თქვა მან, მოძველდა აგრეთვე 1903 წელს დადებული ხელშეკრულება მისი ექსპლოატაციის შესახებ.

წინადადებით მიმართა რა პანამის მთავრობას დავიწყოთ მოლაპარაკება ახლადელი არხის ექსპლოატაციის შესახებ ახალი ხელშეკრულების დადების თაობაზეო, ჯონსონმა მაშინვე წამოაყენა წინასწარი პირობა, რომელიც მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებენ ხელი აიღონ ძველ პრივილეგიებსა და კაბალურ პირობებზე, რომლებიც ერთ დროს თავს მოახვიეს პანამას.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა, განაცხადა ჯონსონმა, უკვე გამოყო 17 მილიონი დოლარი არხის მშენებლობის შესაძლო რაიონებისა და სხვა პრაქტიკული პრობლემების შესასწავლად, რომლებიც ამასთან დაკავშირებულია. ამჟამად იხილავენ **ორხის** მშენებლობის ოთხ შესაძლო ტრასას — ორს პანამაზე გავლით, ერთს კოლუმბიაში და ერთსაც, რომელიც გადასერავს ნიკარაგუას და, შესაძლოა, კოსტა-რიკას.

პრეზიდენტმა დაავალა სახელმწიფო მდივანს რუსს დაიწყოს დაინტერესებულ მთავრობებთან მოლაპარაკება ამ ტრასების შესახებ.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

— ᲕᲘᲡᲐᲛ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲓᲚᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲡ — ᲩᲔᲛᲘ ᲪᲝᲚᲚ ᲛᲐᲜᲔᲥᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ.

ნახატი ავსტრიულ გაზეთ „ვინერ კურირიდან“.



— ᲛᲔ ᲡᲐᲙᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲐᲑᲐ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲪᲣᲠᲔᲜᲝᲓᲐ, ᲫᲔᲚᲐᲢᲘᲜᲘ ᲗᲣ ᲘᲧᲝ.

ნახატი ამერიკულ ჟურნალ „სატერდეი ივნინგ პოსტიდან“.

ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲨᲗᲐᲒᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲒᲣᲚᲘ

საჰაერო ლაინერმა კურსი ჰანოისაკენ აიღო. მე ვიყავი საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციაში, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიდიოდა ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდამეშვიდე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

ჰანოიში გულთბილად შეგვხვდნენ. ვიეტნამელ მეგობართა შორის ზოგიერთი პირადი ნაცნობიც აღმოჩნდა. ისინი სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირში იყვნენ და საქართველოშიც ჩამოსულან. ამან კიდევ უფრო შინაურული და თბილი გახადა ჩვენი ყოფნა ვიეტნამში.

სალამის გრანდიოზული საოქტომბრო მიტინგი გაიმართა ჰანოის მექანიკურ ქარხანაში. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა ვიეტნამელ მშრომელებთან. ყოველ ღიმილში, ყოველ სიტყვასა და მისალმებაში ვგრძნობდით ძმურ სიყვარულს.

ვიეტნამელი ხალხის ოცნებაა ამერიკელი იმპერიალისტებისაგან გათავისუფლოს სამხრეთ ვიეტნამი და გააერთიანოს ორად გაყოფილი თავისი საყვარელი სამშობლო.

როცა ჩვენ თუნდაც ერთი სიტყვით განვაცხადებდით, რომ საბჭოთა ხალხი ყოველთვის მხარს უჭერს და ეხმარება ვიეტნამელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში, მთელი დარბაზი, როგორც ერთიანი რამ მექანიზმი, ხელს სამჯერ მაღლა აღმართავდა და სამჯერ დაიქუხებდა:

— „მუნამ!“ — გაუმარჯოს!

სხვათა შორის, მეორე დღეს სასტუმროში მოვიდა მექანიკური ქარხნის დირექტორი ვო ხაინ კინგი და მთხოვა სალამი გადამეცა ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივისათვის და დავხმარებოდი, რათა ამ ორ ქარხანას შორის მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება.

6 ნოემბრს ჰანოის საქალაქო თეატრში მოეწყო ოქტომბრის რევოლუციის 47-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო სალამო. ორატორები სიყვარულით ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირზე, კომუნიზმის მშენებლობაზე ჩვენს ქვეყანაში და იმ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ძვრებზე, რომლებიც კაცობრიობის განვითარებაში მოახდინა ოქტომბრის რევოლუციამ.

მეორე დღეს საბჭოთა საელჩომ დიდი მიღება მოაწყო. საღამოზე მოვიდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები პრეზიდენტ ხო ში მინის მეთაურობით. მხიარული, მეგობრული შეხვედრა გვიან ღამემდე გაგრძელდა.

შემდეგ ჩვენი გზა ქალაქ ნამდინისაკენ მიემართებოდა. ჰანოიდან ნამდინამდე 70 კილომეტრი იქნება. ჩვენი მანქანები დილით ადრე გავიდნენ გზატკეცილზე.

ვიეტნამის პეიზაჟი ერთი შეხედვით უცნაური გეგზენება. მინდვრები წყლით არის დაფარული. გეგონება, ნაპირგადასული მდინარეს ყანები დაუნილავს და მინდვრებში ნიაღვრის წყალი დუტოვებიაო. მაგრამ თვალი ერთგან კანონზომიერებას შენიშნავს: ცალკეულ დიდ ნაკვეთებში წყალი თითქოს მინასავით ჩარჩოშია ჩასმული. ერთი ყანიდან მეორეში გადასაშვებად ხელოვნური წყალგამყოფებია აგებული. მაგრამ ბრინჯი უმრავლეს შემთხვევაში თითქმის მუხლამდე წყალში ითესება, უღელში გაბმული კამეჩები დინჯად მიაბოტებენ წყალში, უკან გლეხი მიჰყვება კავით ხელში.

საოცრად წითელია ვიეტნამში დაფინი. მზის შორეული მეწამული ხანძარი ცას რომ წაეკიდება, წყლით დაფარული მინდვრები ისე ალაპლაპდებიან, გეგონება, მარტენიდან გამდნარი ლითონი გადმოღვრილაო.

ნამდინი ფეიქართა ქალაქია.

კომბინატი, რომელიც ჩვენ დავათვალიერეთ, წინათ საფრანგეთისა ყოფილა. ფრანგი მეპატრონე სამ-ოთხ თვეში ერთხელ მიაკითხავდა თავის საწარმოს. მცირეხელფასიანი მუშები, გაძვალტყაკვებულნი და უუფლებონი, დღეში 14 საათს მუშაობდნენ. ყველაფერი ეს გვიამბო დირექტორის მოადგილემ, რომელსაც ნგუენს ეძახდნენ.

იგი ცოცხლად და ამაყად შეგვიძღვა საამქროებში, სადაც გაღიმებული მუშები ყოველი მხრიდან ხელის აწევით გვესალმებოდნენ.

საერთოდ, არ შეიძლება აქ თვალში არ გეცეთ ადამიანების სამაგალითო შრომისმოყვარეობა ყველგან—მინდორში, ქარხანაში, ქუჩაში — გვაოცებდა ვიეტნამელის დაუღალავი მკლავის ტრიალი.

ნამდინის კულტურის სახლში დიდი საოქტომბრო საღამო გაიმართა. მიტინგის დაწყებამდე ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დავათვალიერეთ ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილი გამოფენა.

მეორე დღეს ჰანოიში დავბრუნდით, იქიდან კი სანავსადგურო ქალაქ ჰაიფონისაკენ დავიძარით. ქალაქი ნისლითი დაბურული დაგვხვდა. ჰაერი სქელი იყო, მძიმე და ნესტიანი. ეს ყველაფერი ჩემთვის არ იყო მაინცდამაინც უცხო, მაგრამ ჩემს ჩრდილოეთელ თანამგზავრებს, რომლებიც წელიწადის ამ დროში მშრალ ყინვას არიან მიჩვეული, ოდნავ გაუჭირდათ. განსაკუთრებით მესიამოვნა პოეტის და კომპოზიტორის ჩან ხოანის ნახვა. იგი შარშან ბათუმში იყო და რამდენიმე დღე ერთად გავატარეთ. ჩან ხოანი ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ჰაიფონის განყოფილების მდივანია.

ჰაიფონის პორტში გულითადი შეხვედრა მოეწყო. დამშვიდობებისას ნავსადგურის მუშათა პროფკავშირულ კომიტეტს ბათუმის პორტის კოლექტივისაგან გაგზავნილი სამახსოვრო სუვენირები გადავეცი, ხოლო ქალაქის თეატრში გამართულ საღამოზე ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ჰაიფონის განყოფილებას ბათუმელ ნავსადგურელთაგან წარწერიანი ბროლის დიდი თასი მივართვი.

მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. ტაშის გრიალითა და შემაბილეზებით მიიღეს ბათუმელთა ეს მეგობრული სახსოვარი.

ჰაიფონიდან ჰონგაისაკენ გავემართეთ, შარაგზა ზღვამ ოთხჯერ გაწყვიტა და ოთხი მოზრდილი ყურე უზარმაზარი კარჭაპებით გადავცურეთ.

იმ დღეს ზღვის მოქცევა დაწყებულიყო, გოცებით ვაკვირდებოდით, ღურჯად მობიბინე ნაპირები როგორ შეუმჩნევლად ჩადიოდნენ წყალში, ხოლო უკუქცევის დროს რიყეზე დარჩენილი დიდი იალქნიანი ნავები როგორი ტორტმანითა და სიამოვნებით დგებოდნენ ახალმოსული ზღვის მოლივლივე ზვირთებზე.

ჰონგაი პატარა თევრი ქალაქია ზღვის სანაპიროზე. მზიანი, წყნარი დღე იყო, და ზღვაში გაგვასეირნეს, ხუთი ათასამდე კლდოვანი კუნძულია აქ. მზით გარუჯულ, ხმელ, მოხუც მესაჭეს გაბედულად შეაყავდა კატარღა კლდეთა შუა დარჩენილ უვიწროეს ბოღაზებში და ისეთი სიამაყითა და სიამოვნებით გვაჩვენებდა ბუნების ამ იშვიათ ქმნილებას, რომ გეგონებოდა, ყოველივე ამის შექმნაში თვითონაც მონაწილეობდა.

კლდეთა შუა მრავალ აფრებგაშლილ ნავს ვხედავდით. ასეთი ნავები უამრავია ვიეტნამის დიდ მდინარეებსა თუ ყურეებში. ეს მოძრავი საცხოვრებელი სახლებია. ყოველ ნავზე ოჯახი ცხოვრობს. მათი ეზო, ყანა და ბაღჩა მარად წყალია.

ზღვაში ათასობით გაფანტულ ამ შიშველ კლდეებს შორიდან რომ გახედავ, იფიქრებ, რაღაც უზარმაზარი ერთი მთლიანი სხეული დასხსვრეულა და ზღვაში ჩაცვივნულაო.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲣᲬᲕᲘᲗ ᲙᲐᲛᲤᲐᲯᲐᲚ ᲥᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲐᲡᲗᲘᲡ, ᲕᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘᲗ ᲣᲜᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ ᲙᲐᲛᲤᲐᲯᲐᲚ ᲥᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲠᲣᲡᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓᲐᲪ ᲘᲧᲝᲜ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲫᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲙᲘᲜᲘᲡ (ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲐ) ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲐᲛᲡᲯᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲡᲐᲭᲔᲡᲘ ᲒᲘᲚᲘᲝᲢᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲠᲫᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲠᲣᲡᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲡᲐᲭᲔᲡᲘ ᲒᲘᲚᲘᲝᲢᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ

ჩვენს მკითხველებს

ძვირფასო მეგობრებო!

კიდევ ათიოდე დღე, და დაგვეშვიდობება შვიდწლედის მეექვსე წელი, წელი ბევრის მომსწრე და ბევრისმეტყველი, დიდი შრომის, შენებისა და შემოქმედების...

კიდევ ათიოდე დღე, და ჩვენს სამშობლოში ამაყად შემოაღებს კარს ახალი, 1965 წელი. შემოგრძანდება იგი საბჭოთის მიწაზე სიხარულით, თავისი ახალი და გაბედული გეგმებით, ნათელი პერსპექტივებით.

კომუნისტური შრომისა და ცხოვრების ბევრი საუკეთესო ფურცელი ჩაიწერა მიმდინარე წლის უსასრულოტომიან წიგნში. მათი შემომქმედნი კი საბჭოთა სამშობლოს სხვა ხალხებთან ერთად არიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც. ამ დიდ შრომაში მათს სიხარულს, ფიქრებსა და მისწრაფებებს ყოველმხრივ იზიარებდა გაზეთი „კომუნისტი", რომლის მიზანი შუადამ ის არის, რომ მხარში ედგას საქართველოს მშრომელებს, პარტიულ ორგანიზაციებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

ახალი წელი უფრო ახალ საპატიო და პასუხსაგებ ამოცანებს გვისახავს, „კომუნისტს" რედაქციის კოლექტივი იმისკენ ისწრაფვის, რომ ჩვენი გაზეთი მომავალ წელს იყოს უფრო შინაარსიანი და საინტერესო, უფრო ოპერატიულად აშუქებდეს საქართველოს მშრომელთა შრომის, სწავლის, ყოფაცხოვრების საკითხებს, ეხმარებოდეს მათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური ურთიერთობის განმტკიცების, ახალი ადამიანის აღზრდის საპატიო ამოცანების შესრულებაში.

გაზეთმა თავისი ეს მოვალეობა კიდევ უფრო წარმატებით რომ შეასრულოს, დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენს აზრს, ჩვენო მკითხველებო!

და სწორედ ამ ახალი წლის კარიბჭესთან „კომუნისტის" რედაქცია მოგმართავთ თხოვნით, ძვირფასო მეგობრებო — მოგვწერეთ თქვენი, მკითხველის აზრი ჩვენს გაზეთზე:

რა სახის წერილები გაინტერესებთ ყველაზე უფრო, რას უფრო კითხულობთ პირველ რიგში გაზეთის ყოველი ახალი ნომრის მიღებისას? წელს რომელი გვერდი, სტატია, კორესპონდენცია, ნარკვევი, ფელეტონი ან შენიშვნა უფრო დაგამახსოვრდათ, ჩაგაფიქრათ ან საკამათო გახდა თქვენს კოლექტივში? რა არ მოგწონთ გაზეთში? რა უფრო გსურთ წაიკითხოთ მომავალ წელს გაზეთის ფურცლებზე?

რა საკითხებზე აჯობებს უფრო გაკამაჯვილოთ ყურადღება? რა ახალი განყოფილებები შემოვიღოთ? რა კითხვებზე გსურთ მიიღოთ პასუხი? რობორ შემოვიკრიბოთ ახალი ავტორები?

გთხოვთ მოგვწეროთ, როგორ გავაშუქოთ უკეთ პარტიული ცხოვრების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურის, ხელოვნების, საერთაშორისო ცხოვრების საკითხები. მოიწერეთ, როგორ გავამდიდროთ გაზეთის ენა, როგორ ავამაღლოთ ყოველი ნომრის ტექნიკური დონე.

მოდით, ძვირფასო მეგობრებო, ათეულ ათასობით მკითხველო, ერთად მოვიფიქროთ, როგორ გავხადოთ ჩვენი გაზეთი უფრო მრავალმხრივი და საინტერესო, რომ ყოველი მისი გამოსვლა ზუსტად ხვდებოდეს მიზანს, დეხმაროს ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებსა და ყველა მშრომელს დიად კომუნისტურ ლაშქრობაში.

მოუთმენლად ველით თქვენს სურვილებს, შენიშვნებსა და წინადადებებს, ძვირფასო მეგობრებო!

«კომუნისტის» რედაქცია

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

როცა მთვარე დაგნელდა

აბასთუმანი. (19 დეკემბერი, ტელეფონით). დღეს გამთენიისას, როგორც მოველოდით, ციცინა, მოხდა მთვარის სრული დაბნელება.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია კარგა ხნით ადრე მოემზადა ამ იშვიათ მოვლენაზე მეცნიერული დაკვირვებისათვის.

მართალია წინა დღით თოთქმის შუადღემდე თოვდა და ცა მოღრუბლული იყო, მაგრამ ალიონზე ცამ პირი გახსნა და ობსერვატორიის მუშაკებმა შეასრულეს თითქმის ყველა დავალება.

მეცნიერმა თანამშრომლებმა ნ. მაღალაშვილმა და ი. ქუმსიშვილმა 33 სმ. რეფლექტორზე მიდგმული ელექტროფოტომეტრის საშუალებით საინტერესო ჩანაწერები გააკეთეს დაბნელების პროცესში მთვარის ზედაპირის სიკაშკაშის ცვალებადობის შესახებ. უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა რ. კილაძემ და ახალგაზრდა ასტრონომებმა ო. აბულაძემ და თ. ბარბლიშვილმა 70 სმ. მენიატური ტელესკოპით გადაიღეს მთვარის დაბნელების სხვადასხვა ფაზის ფოტოსურათები. მეცნიერთაოვის საინტერესო იყო აგრეთვე ელექტროფოტომეტრული დაკვირვება მთვარის ინფრაწითელი გამოსხივების ცვლილებებზე. ამ სამუშაოს კარგად გაართვა თავი ლ. ფიშკოვამ.

განხორციელდა აგრეთვე დაკვირკება ორმაგი ასტროგრაფის საშუალებით.

კომპლექსური დაკვირვების შედეგად მიღებული ასტრონომიული მეცნიერებისათვის ბევრი საინტერესო მასალა.

ვ. ჯაფიაშვილი.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე.

გათუმური მარკით საზღვარგარეთ

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმელ გემთმშენებელთა მიერ შექმნილი „ვოლგის" ტიპის წყალქვეშაფრთებიანი ბევრი კატარღა დაცურავს საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ზღვებსა და მდინარეებში.

ამ დღეებში ბათუმელმა გემთმშენებლებმა რამდენიმე წყალქვეშაფრთებიანი კატარღა ააწყეს. ერთი მათგანი უკვე გაიგზავნა ჩეხოსლოვაკიაში.

სიახლეთა დაგადეგა

△ ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებამ ლენინის ქუჩაზე გახსნა ახალი მაღაზია „ბავშვთა სამყარო".

ალ. ჰითანავა.

△ თელავის ბრავალი მცხოვრები იზეიმებს ახალ წელს ახალ ბინაში. ამ დღეებში მახარაძის ქუჩაზე ხარაჩოები ჩამოეხსნა ახალ ოთხსართულიან საცხოვრებელ შენობას.

გ. ფინკო.

△ ფართოვდება კავშირგამუშაობის სატელეფონო ქსელი ქ. ზუგდიდში. დამთავრდა ტელეფონის ავტომატური სადგურის რეკონსტრუქციის სამუშაოები და ამ დღეებში დამატებით ამუშავდება 400 ახალი ნომერი, რაც ძირითადად დააკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას.

გ. ალშიბაია.

△ ხაშურის რკინიგზელთა კულტურის სასახლესთან შეიქმნა / ორწლიანი კულტურის სახალხო უნივერსიტეტი. მსმენელებად ჩარიცხულია კვანძის საწარმოთა და დაწესებულებათა 60 მუშაკი.

დ. ფარეშუზოვი.

საახალწლო ახალ საინტერესო პროგრამას ამზადებს ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელსაც აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ნ. სანადირაძე ხელმძღვანელობს. სურათზე: მოცეკვავეთა ჯგუფი ასრულებს ცეკვა „კადრილს".

ფოტო ს. კილაძისა.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

ვის დარჩება ვერცხლი?

გუშინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება.

დიდი მოულოდნელობა იყო ვ. ბორისენკოს დამარცხება უ. კურენთან. ვ. ბორისენკოს ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ უხეში შეცდომა დაუშვა და თავი დამარცხებულად სცნო. უ. კურენ, შეჯიბრების ერთადერთმა მონაწილემ, რომელსაც აქამდე არცერთი გამარჯვება არ ჰქონდა, ბოლოსდაბოლოს მიზანს მიაღწია.

ორ პარტიას ამთავრებდა მ. რანიკუ. მან ვერ შეძლო ეტლების მძიმე დაბოლოების ხსნა და დანებდა ზ. ნახიმოვსკაიას, მაგრამ მოუგო კ. ზვორიკინას. ლ. ვოლპერტმა მოსაგებ პოზიციაში შეცდომა დაუშვა, მაგრამ ზ. ნახიმოვსკაიამ ვერ ისარგებლა ყაიმის შანსებით. გაიმარჯვა ლ. ვოლპერტმა. ო. კაცკოვამ შეთანხმდნენ ბ. მოსიონჟიკი და ი. გასპარიანცი.

ამრიგად, უკანასკნელი, მეცხრამეტე ტურის წინ, რომელიც დღეს გაიმართება შეჯიბრების წამყვან მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: **ნ. გაფრინდაშვილმა** 14,5 ქულა მოგროვა. მისთვის ბოლო პარტიას პრინციპული მნიშვნელობა აღარა აქვს. 12-12 ქულა აქვთ ლ. ვოლპერტს, მ. რანიკუს, ე. რუბცოვასა და ნ. კონოპლიოვას, 11-11 ქულა — ვ. ბორისენკოსა და ნ. ალექსანდრიას.

დღეს ნ. გაფრინდაშვილი თეთრებით ეთამაშება ო. ანდრეევას, ლ. ვოლპერტი — ო. კაცკოვას, მ. რანიკუ — ო. რუბცოვას, ნ. კონოპლიოვა — ვ. ბორისენკოს, ე. რუბცოვა — ე. გასპარიანსა და ნ. ალექსანდრია — ზ. ნახიმოვსკაიას.

გ. გამრეკელი.

ტ. პეტროსიანის მეშვიდე გამარჯვება

**პროფკავშირთა საჭადრაკო ჩემპიონატის მეთორმეტე ტურში, რომელიც გუშინ გაიმართა მოსკოვში, მსოფლიოს ჩემპიონმა მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან დაამარცხა მნაცაკანიანი. ვაისმანმა მოუგო ლიბერზონს. გიპსლის-ტაიმანოვი